პარლამენტის წევრობის კანდიდატებისათვის
თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის

ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქცია

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ვალდებულია, პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან 1 კვირის ვადაში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ, ამ მუხლის თანახმად, მას იმ წელს წარდგენილი აქვს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია“.

განსაზღვრულ ვადაში დეკლარაციის წარუდგენლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

დეკლარაცია შედგება ცხრა ფურცლისაგან. დეკლარაციის თითოეულ ფურცელზე, მიუხედავად იმისა, შეტანილი გაქვთ თუ არა ინფორმაცია უნდა მიუთითოთ თქვენი (პარლამენტის წევრობის კანდიდატის) სახელი, გვარი და დაადასტუროთ ხელმოწერით.

ფურცელი 1

დეკლარაციის I ფურცელზე, შესაბამის გრაფაში აისახება: თქვენი სახელი, გვარი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი (მაგ.: საქართველო. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #15, სად. I, ბინა #6) ტელეფონის ნომერი, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრების **(ოჯახის წევრებში იგულისხმება: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, გერი, ასევე თქვენთან მუდმივად მცხოვრები ნებისმიერი პირი**) მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი, ნათესაური კავშირი).

შენიშვნა:

1. არასრულწლოვანი შვილი და გერი მიეთითება ოჯახის წევრებში მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა თქვენთან ერთად;
2. თუ თქვენს მისამართზე რეგისტრირებული პირი არ ცხოვრობს თქვენთან ერთად, არ უნდა შეიყვანოთ ოჯახის წევრად;
3. მიუხედავად იმისა, თუ სად არის პირი რეგისტრირებული, თუ ის თქვენთან ერთად მუდმივად ცხოვრობს, უნდა შეიყვანოთ ოჯახის წევრებში.

ფურცელი 2

დეკლარაციის მე-2 ფურცელზე შესაბამის გრაფაში აისახება: თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში **არსებული უძრავი ქონება (მაგ.: ბინა, საცხოვრებელი სახლი, მიწის ნაკვეთი, ავტოფარეხი და ა. შ.)** ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი, ქონების სახეობა, ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართი. თუ ნივთი საერთო წილობრივ საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ აგრეთვე თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის წილის ოდენობა პროცენტულად.

შენიშვნა:

1. მართალია, ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშვება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ თუ ნივთი ფაქტიურად თქვენია უნდა ასახოთ დეკლარაციის შესაბამის გრაფაში.

ფურცელი 3

დეკლარაციის მე-3 ფურცელზე აისახება ინფორმაცია: თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში **არსებული მოძრავი ქონების (მაგ.: ავტომობილი, ფერწერული ტილო, სამკაული, სავარძელი, იარაღი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი (ძროხა, ცხენი ....)) თაობაზე,** რომელთაგან **თითოეულის ღირებულება აღემატება 20 000 ლარს.** ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი, ნივთის სახეობა, თუ ნივთი საერთო წილობრივ საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ აგრეთვე თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის წილის ოდენობა პროცენტულად.

შენიშვნა:

1. ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშების ან/და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის შესახებ ინფორმაცია ამ ფურცელზე არ მიეთითება.

ფურცელი 4

დეკლარაციის მე-4 ფურცელზე მიეთითება ინფორმაცია: თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული **ფასიანი ქაღალდების (მაგ.: აქცია, ობლიგაცია, ჩეკი, თამასუქი და ა.შ.)** შესახებ. მესაკუთრის ვინაობა – სახელი, გვარი, ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, ფასიანი ქაღალდის სახეობა, ნომინალი, ფასიანი ქაღალდის რაოდენობა.

განმარტება:

1. **ემიტენტი** - ფასიანი ქაღალდის გამომშვები;
2. **ნომინალი** - ღირებულება, რომელიც მითითებულია ფასიან ქაღალდზე.

ფურცელი 5

დეკლარაციის მე-5 ფურცელზე მიეთითება ინფორმაცია: საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული **ანგარიში ან/და შენატანი (სახელფასე, ანაბარი, დეპოზიტი, მიმდინარე, საკრედიტო ანგარიში, საკრედიტო ბარათი (მაგ.: orange card, TBC Card, Magic Card, American Express, მეგობარათი და სხვა)**, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს. ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი), ანგარიშზე ან/და შენატანზე **რიცხული თანხა შესაბამის ვალუტაში**.

ფურცელი 6

დეკლარაციის მე-6 ფურცელზე აისახება: თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული **ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 5000 ლარს.** ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი), ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში.

შენიშვნა:

1. ფულადი თანხა შესაბამის ვალუტაში თითოეული ოჯახის წევრის შემთხვევაში მიეთითება ცალ-ცალკე.

ფურცელი 7

დეკლარაციის მე-7 ფურცელზე მიეთითება ინფორმაცია: საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის **მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში (მაგ.: ხართ ინდმეწარმე, პარტნიორი, აქციონერი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორი და ა.შ.).** სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა (სახელი, გვარი), საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი. საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის ფორმა. საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი.

შენიშვნა:

1. **სხვა შემთხვევაში თუ პირი უბრალოდ დაქირავებულია (იურისტი, ეკონომისტი, ბუღალტერი და ა. შ.)** ამ საწარმოში მუშაობის შესახებ **ინფორმაციას ასახავთ დეკლარაციის მე-8 ფურცელზე,** სადაც მიეთითება თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ ინფორმაცია.

2. მიუხედავად იმისა, ეკონომიკურ საქმიანობას ეწევით თუ არა, რადგან რეგისტრირებული ხართ, როგორც ინდმეწარმე, ამის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა ასახოთ დეკლარაციის ამ გვერდზე.

ფურცელი 8

დეკლარაციის მე-8 ფურცელზე მიეთითება: საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ **შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო**, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა. სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი), სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს. თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი.

შენიშვნა:

1. თუ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები მონაწილეობთ სამეწარმეო საქმიანობაში **(ხართ ინდმეწარმე, პარტნიორი, აქციონერი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორი და ა.შ.) ამ ინფორმაციას ასახავთ დეკლარაციის მე-7 ფურცელზე**. ხოლო სხვა შემთხვევაში თუ პირი უბრალოდ დაქირავებულია (იურისტი, ეკონომისტი, ბუღალტერი და ა.შ.) ამის შესახებ ინფორმაციას დააფიქსირეფთ ამ ფურცელზე.

ფურცელი 9

დეკლარაციის მე-9 ფურცელზე მიეთითება ინფორმაცია: საქართველოში ან სხვა ქვეყნაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ **დადებული ნებისმიერი მოქმედი ხელშეკრულების (ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, ქირავნობა/იჯარა, სესხი, ნარდობა, გადაზიდვაგადაყვანა, საკუთრების მინდობა, ბინათმშენებლობის ხელშეკრულება, დაზღვევა და ა.შ.) შესახებ**, რომლის **საგნის ღირებულება აღემატება 5000 ლარს.** ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა (სახელი, გვარი). ხელშეკრულების სახეობა, საგანი და მისი ღირებულება. ხელშეკრულების დადების თარიღი, მისი მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება.

(მაგ.: სამი წლის წინ აიღეთ სესხი 100 000 ლარის ოდენობით, რომელიც ჯერ არ დაგიფარავთ, ამ ინფორმაციას შეიტანთ შემდეგი თანმიმდევრობით: სესხის ამღები, აღებული სესხის ოდენობა, ხელშეკრულების დადების თარიღი, მოქმედების ვადა ბანკის დასახელება და ნოტარიუსის ვინაობა, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების დამოწმება).

შენიშვნა:

1. ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უთითებთ მხოლოდ თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის ვინაობას. **თუ ხელშეკრულების მეორე მხარე ოჯახის წევრი არ არის, მის ვინაობას არ მიუთითებთ.**

2. **ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში**, ხელშეკრულების საგანი არის ნივთის გაქირავება (დაქირავება), ხოლო საგნის ღირებულება – თანხა, რომელიც უნდა მიიღოთ (გადაიხადოთ) აღნიშნული მომსახურებისათვის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში;

3. **სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში,** ხელშეკრულების საგანი არის ფულადი თანხა, ხოლო საგნის ღირებულება – აღებული (გაცემული) თანხის ოდენობა;

4. **ბინათმშენებლობის ხელშეკრულების შემთხვევაში,** ხელშეკრულების საგანი არის სამშენებლო კომპანიის მიერ აღებული ვალდებულება (ბინათმშენებლობის დასრულება და თქვენთვის ბინის გადმოცემა), ხოლო საგნის ღირებულება – თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოთ კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და ა.შ.

5. **თუ დადებული გაქვთ ხელშეკრულება, რომელიც არც ერთი ოფიციალური ორგანოს მიერ არ არის დარეგისტრირებული,** მიუთითეთ-ზეპირი ხელშეკრულება (მაგ.: ფიზიკური პირისაგან აღებული გაქვთ სესხი, რომელთან დაკავშირებითაც ხელშეკრულება არ დაგიდიათ, ან დადებული ხელშეკრულება არც ერთ ოფიციალურ ორგანოს არ დაურეგისტრირებია (დაუმოწმებია)).